ცნობის ფურცელი

№ 2147 შაბათი, 10 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2147

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 379.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 11 მაისს, მის უდიდებულესობის კარის იეგერმეისტერის თავადის

კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—2).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
იაკურნალის ი. ხ. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ექიმები:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სოღოლაშვილი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **მ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტკები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 374 (წლ.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

მებრილიანტე
კ. დ. კობახიძე
მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

კბილის ექიმი
ივანე ზაალეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-ის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ **„ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"** გამგეობამ შარშან მოიპოვა უფლება ვ. გუნიას საქართველოს კალენდრის გამოცემისა. რადგან კალენდარი ვერ არის სრული, გამგეობას გადაუწყვეტია, კალენდრის შემდგენელის თანხმობით, შეუდგეს იმის შევსებას. საჭირო ცნობების შეკრება და კალენდრის შევსება გამგეობამ მიანდო სტატისტიკოსს ფ. გოგიჩაიშვილს.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად **ხაზინას დარჩა თავ. ორბელიანის მემკვიდრეთა დიდი ადგილი** სოღანლუღის მახლობლად. ეს ადგილი 5000 დესეტინამდე შეიცავს და რამდენიმე სოფელია ზედ გაშენებული. დავა ამ ადგილის შესახებ ხაზინასა და ორბელიანებს შორის დაიწყო წარსულ საუკუნის დასაწყისში და ამ რამდენიმე წლის წინად ძლივს გადაწყდა. ხმა დადის, რომ ხაზინას აზრადა აქვს ხელ-ახლა დავა აუტეხოს თავ. ორბელიანების მემკვიდრეებს და მოსთხოვოს 500,000 მანეთამდე დიდის ხნის განმავლობაში მამულის უკანონოდ მფლობელობისათვის.

◆ ქუთაისის გუბერნიის **სოფელ ხონში** ადგილობრივ სოფლის საზოგადოების შუამდგომლობით არსდება საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა. სოფლის საზოგადოებამ უნდა გადასდოს სამის წლის განმავლობაში 250 მანეთი წელიწადში.

◆ ქუთაისის გუბერნიის სოფელ **საჯავახოში არსდება სამარხო კასსა.** საგუბერნიო ადმინისტრაციას წესდება უკვე დაუმტკიცებია.

◆ **სოფელ ზეტერის მცხოვრებთ** საჩივარი შეუტანიათ სიღნაღის თვით-მმართველობაზე. ეს სოფელი სიღნაღს აკრავს და რამდენიმე წელიწადია ქალაქის ნაწილად ითვლება. სოფლელნი სჩივიან, რომ თვით-მმართველობამ ჩვენ უძრავ ქონებას ძალიან დიდი გადასახადი შეაწერაო, ამასთან სწერენ, რომ ჩვენ სოფელში არც ერთი დაწესებულება არ არის, არ არის დუქანი, განათება, მოკირწყლული ქუჩები, ერთის სიტყვით, თვით-მმართველობა ჩვენთვის სულ არას სცდილობს, გადასახადს კი დიდს გვაწერსო. ზეტერის მცხოვრებნი მიწის ხვნა-თესვის მეტს სხვა არა ხელობას არ მისდევენ.

◆ როგორც ბორჯომიდან გვწერენ, ადგილობრივ აგარაკების პატრონნი დიდს მზადებაში არიან ზაფხულისათვის. წელს ბორჯომში დიდძალ მოაგარაკეებს მიელიან თურმე. ყველგან მუშაობაა.

◆ **გორში, როგორც „ნოვ. ობოზ"-ს** ატყობინებენ, გიჟმა ურნობ კაცს სარდაფში მოუკლავს მოქალაქე გ. მირიანაშვილი, რომელსაც ეს უკანასკნელი რუმბიდან ბოთლში ღვინოს ასხამდა. შემდეგ ურნობი სახლში შევარდნილა და მირიანაშვილის მძინარე ცოლისთვის რამდენჯერმე დაურტყამს; ამ დროს ბავშვებს ყვირილი დაუწყიათ და ურნობი გაქცეულა.

◆ **ტფილისის ოლქის სასამართლოს** სესიამ, 8 მაისს, დუშეთში გაარჩია საქმე დუშეთის მაზრის სოფელ ბზიანკარის მცხოვრების მაჭარა? გიორგის ძის აფციაურისა, რომელსაც თავის მეზობელი გიგო ამუჯანაშვილის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. ჩხუბისა და შემდეგ მკვლელობის მიზეზი ყოფილა შემწვარ ქათმის ერთი ფრთა 1902 წლის, 6 ნოემბერს, ესენი მიწვეულნი ყოფილან სტუმრად მეზვრიშვილთან. როცა მოუტანიათ შემწვარი ქათამი, აფციაურსა და ამუჯანაშვილს დაპირაკი მოსვლიათ იმაზე, ვის ერგება შემწვარ ქათმის ფრთები. ეს უწნაური სტუმრები, როგორც იყო, დააშოშმინებიათ, მაგრამ როცა იქიდან გამოსულან იქვე მცხოვრებ ნიკო ისმაილაშვილთან, დაპირაკს კიდევ მოჰყოლიან და საქმე იქამდე მისულა, რომ აფციაურს უძგრია დანა და ამუჯანაშვილისათვის მუცელში ჩაურტყამს. ეს უკანასკნელი სიკვდილს შემთხვევით გადარჩენია. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულ აფციაურს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, ისე მთვრალი ვიყავი, რომ არც კი მახსოვს, როგორ მოხდა ეს საქმეო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მხოლოდ აფციაური და გადაუწყვიტა ორი თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

◆ „ცნ. ფურცლის" 24 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო თ. იასონ ფავლენიშვილის საქმის გარჩევა სასამართლოში. გასწორებთ იმ შეცდომას, რომელიც შეგვპარვია ამ ანგარიშში. იქ დაბეჭდილია, ვითომც სათლქო სასამართლოს სადავო მამული თ. ხიდირბეგიშვილისთვის მიუსაჯნია. ნამდვილად კი ეს საქმე, როგორც გადმოგვცემს, ჯერ არ გათავებულა სასამართლოში. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, ამაში, როგორც ნათქვამი გვქონდა, თავ. ფავლენიშვილი გაამართლეს.

◆ სოფელ მისაქციელის სკოლის მასწავლებელი ბ. გაგლოშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუძღვნით აქაურ მღვდლის მეუღლეს ანნა ბეგიაშვილისას, რომელიც უსასყიდლოდ ასწავლის მოწაფეებს—ქალებს ხელსაქმეს; აგრეთვე მადლობელნი ვართ დიმიტრი გრიგოლის ძე ცხოვრებაშვილისა, რომელმაც ერთის წლით უსასყიდლოდ დაუთმო სკოლას ორი ოთახი".

◆ როგორც გვატყობინებენ, მცხეთაში, რკინის გზის სადგურის მახლობლად მეტად შეღავათიანის პირობებით და შეღავათით იყიდება ნაწრებად დაყოფილი ადგილები. მყიდველს ნება ეძლევა ადგილის ფასი გადაიხადოს სამის წლის განმავლობაში.

◆ გუშინ-წინ, დიდუბის ქუჩაზე ლორთქიფანიძის სახლში, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ამ სახლში მცხოვრებ მიხეილ პორფიროვისა და სერგო ხრამოვის სადგომებისთვის გამოუმტვრევიათ კედელი და გაუტანიათ ტანისამოსი და სხვა ნივთები.

◆ ამ ორი-სამი დღის წინად სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ტფილისის გუბერნიის მცხოვრების სეროპ ბაბაევისა, რომელსაც ციმბირიდან გამოქცევა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს ბაბაევისათვის გადაუწყვეტია კატორგაში 3 წლით გაგზავნა და 40 როზგის დაკვრა. პალატამ ბაბაევი სასჯელისაგან გაანთავისუფლა, ხოლო დაადგინა, რომ იგი გარდაეცეს საგუბერნიო ადმინისტრაციას.

◆ სამ მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა განაჩენი ოლქის სასამართლოს, რომლითაც ქურდობის ჩადენისათვის ზაქარია ადუაშვილს გარდაწყვეტილი ჰქონია 1 წლის ვადით საპყრობილეში დაპატიმრება.

ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

9 მაისის კრება

კრება გაიხსნა $12\frac{1}{2}$ საათს. თავმჯდომარემ მოახსენა, რომ თავად-აზნაურთა სახლი ფრეილინის ქუჩაზე უნდა გადაკეთდეს, რადგან ბანკი ვერ მოთავსებულა იქ ისე, როგორც ამ დაწესებულების საჭიროება ითხოვს. თავად აზნაურთა მამულის მმართველ კომისიას ეს საგანი დაწვრილებით განუხილავს და შემდეგ აზრს დასდგომია: რადგან ბანკის ეხლანდელი სადგომი გადასაკეთებელია, ბარემ ისე გადავაკეთოთ ფრეილინის ქუჩაზე სახლი, რომ თავად აზნაურთა სხვა საჭიროებანიც დააკმაყოფილოსო. ამ გვარად მამულის მმართველმა კომისიამ დაწვრილებითი გეგმა შეიმუშავა ამ საკითხის შესახებ და თავმჯდომარე ამ კომისიისა ¦ გ. ი. თულაშვილი თვითონ განგიმარტავთ ამ საქმესო.

ბ-ნმა თულაშვილმა კრებას მოახსენა სიტყვიერად: რადგან ბანკის სადგომი გადასაკეთებლად გაგვიხდა, კომისიამ განიზრახა ეს სახლი მთელ ფრეილინის ქუჩაზე გააგრძელოს და ზემოდან კიდევ ორი სართული დაადგას. პროექტი ამისთანა სახლისა უკვე შემუშავებულია და ხარჯებიც ნაანგარიშევია სულ 116.763 მან. ამ პროექტით ძირის სართულში მოთავსდება: შესავალიდან მარჯვნით სადგილ-მამულო ბანკი, მარცხნით—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" გამგეობა, ამისი მუზეი და წიგნის მაღაზია; შუა სართულში თავად აზნაურთა საკრებულო დარბაზი, დეპუტატთა საკრებულოს კანცელარია და წინამძღოლის კაბინეტი. ზევით სართულშიაც ხუთი ოთახი იქმნება. ყველა ეს დაწესებულებანი რომ ახალ სახლში მოთავსდება, ეხლანდელი ბინა ამათი, რომელიც თავად-აზნაურობის მეორე სახლში უჭირავთ დვორცოვის ქუჩის მხარეს, ამ საშუალებათაგან თავისუფლდება და ბინებიდან შემოსავალი ექმნება სახლს ხუთას თუმნამდე წელიწადში. 116 ათას მანეთზე, რომელიც სახლის გადაკეთებაზე დაგვჭირდება და რომელიც სესხად უნდა გამოვიტანოთ ბანკიდან, გასასტუმრებლად დაგვჭირდება ყოველ წელს ცხრაას თუმნამდე, ასე რომ შემოსავალზე ზედ-მეტი დაგვჭირდება კიდევ ოთხას თუმნამდე. ამას უნდა მივუმატოთ დასაზღვევი და სხვა-და სხვა გადასახადები ორას თუმნამდე, ასე რომ სულ ექვსას თუმნამდე გვექნება ბანკის გასასტუმრებლად ყოველწლის შესატანი.

თავ. ი. აბხაზი. სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ წინადადებას, მაგრამ გადასაწყვეტი გვაქვს დღეს მხოლოდ ერთი საკითხი: ეხლავე შევუდგეთ ამ სახლის გადაკეთებას, თუ მოვიცადოთ, სანამ ეხლანდელი ბანკის ვალი გაისტუმრებოდეს და მერე სახლიც ავაგოთ. 1898 წელს კომისია იყო არჩეული, ამ კომისიამ არხიტექტორი ბ-ნი სიმონსონი მიიწვია და შეიმუშავეს პროექტი სააზნაურო სახლის გადაკეთებისა. გამოიანგარიშეს და 23 ათასი თუმანი დასჭირდება ამ გადაკეთებასაო. ბევრი რამ იყო ნავარაუდევი ამ გეგმით, მაგრამ თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ უარჰყო ეს პროექტი მანამდე, სანამ სახლზე დარჩენილი ბანკის ვალი სრულებით არ იქმნება გასტუმრებულიო. თუ კრება მოისურვებს მაინცადამაინც ეხლავე იქმნეს ფრეილინის ქუჩაზე სახლი გადაკეთებული, მე იმ აზრისა ვარ, მთელის მამულისათვის საერთო პროექტი იქმნეს შედგენილი და ამ საზოგადო პროექტიდან, რაც ფრეილინის ქუჩაზე ასაშენებელი იქმნება ნავარაუდები, ის გაკეთდეს, თუნდაც ეხლავე. ამ საერთო პროექტის შესადგენად უთუოდ კონკურსი უნდა იქმნეს გამოცხადებული.

თავმჯდომარემ თავ. მელიქიშვილმა განუმარტა კრებას, რომ ფრეილინის ქუჩაზე სახლი სრულებით ცალკე მამულია, არავითარი კავშირი არა აქვს მამულის მეორე ნაწილთან და არა ერთმა კომისიამ დაწვრილებით განიხილა ეს საგანი და იმ აზრს დაადგა ფრეილინის ქუჩის სახლი ეხლა გადაკეთდეს. თუ ესე არ მოხდა, ბანკი იძულებული იქმნება ამ სახლიდან გავიდეს, რადგან იქ ვერ მოთავსებულა და, თუ მართლაც ასე მოხდა, თავად-აზნაურობა კარგს შემოსავალს დაჰკარგავს, რადგან ამ ფასს (ბანკი იძლევა 500 თუმანს წელიწადში) ვეღარ მიიღებს.

ერთ-ხანს კიდევ კამათი იყო ამაზე და ბოლოს კრებამ კენჭით გადასწყვიტა საკითხი. 84-ის ხმით წინააღმდეგ 12-ისა დაადგინა: სახლის გადაკეთებას ეხლავე შევუდგეთ, ხოლო ამის გამგედ ცალკე კომისია იქმნეს არჩეული, რომელსაც მიენდოს გეგმის განხილვა და მოწონებაცაო.

შემდეგ დროებით ვალდებულთა და თავად-აზნაურთა შორის სადავო ადგილების გამო დამოკიდებულების შესახებ მოახსენდა კრებას. ეს მეტად სამძიმო საქმე, რომელსაც

(Электропеч. Груз. Издат. Т-ва)

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 мая 1903 г.

40 წელიწადია შეზღუდული ჰყავს ერთმანეთში მემამულე და გლეხი, ეხლანდელს დროს უფრო მეტად საგრძნობელია და ამიტომ უნდა ღონე ვიღონოთ ამ საქმის მოწესრიგებისათვისო—სთქვა თავმჯდომარემ. დიდი ხანია კომისია მუშაობს ამ საგანზე, ბევრი მასალა აქვს შეკრებილი და ეხლა დროც არ არის ამ კომისიის შრომის განხილვისა. მე მგონია, ჩვენ რომ დავადგინოთ, ვსთხოვოთ მთავრობას დააჩქაროს ამ საკითხის გარჩევა და გარჩევის დროს თავად-აზნაურთა წარმომადგენელნიც დაისწროს—კარგი იქმნება. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

დაადგინეს აგრეთვე: თავად-აზნაურთა კრებებზე მონაწილეობისათვის ცენზის ოდენობის შემცირებაც ვსთხოვოთ მთავრობას თელავისა, სიღნაღისა, გორისა და დუშეთის მაზრების თავად-აზნაურთათვის და რამდენით შემცირდეს ეს ცენზი, ამის აღრიცხვა წინამძღოლთა და დეპუტატთა საბჭოს მიენდოსო.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მისმა უმაღლესობამ, პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ ოლდენბურგელმა რესკრიპტით აცნობა თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს, რომ მათ უმაღლესობას განუზრახავს გაგრაში რეალური სასწავლებელი დააარსოს და მასთან ორი წლის კურსიც იმათთვის, რომელთაც უმაღლესს სასწავლებელში წასვლა არ შეეძლებათ, მაგრამ აქ-კი შეიძენენ სამეურნეო და სატეხნიკო ცოდნასა. მოისაზრეთ ეს საქმე, რა გზით და რა სახით მოისურვებს თავად-აზნაურობა ამის განხორციელებას. თუ საჭიროება მოითხოვს, დედა-ენის სწავლებასაც შემოვიღებთო.

კრებამ ფეხზე ადგომით მოისმინა ეს ამბავი და დეპუტაცია აირჩია ამ საქმის გამორკვევისა და პრინცისათვის უმაღლესს ყურადღებისათვის მადლობის მისართმევად. კომისია აირჩიეს: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. ნ. ბ. ერისთავი, თავ. ი. ს. ჭავჭავაძე და თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, გუბერნიის წინამძღოლის მეთაურობით.

კრება შაბათ, დილის 10 საათამდე გადაიდო.

ქუთაისი

(კორესპონდენცია)

7 მაისს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგ კრების დაწყებისათანავე წაიკითხეს კნეინა ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სამადლობელი დეპეშა ქუთაისის თავად-აზნაურთაგან თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის გარდაცვალების გამო გაგზავნილ სამძიმრის დეპეშის პასუხად. წაიკითხეს აგრეთვე ტფილისის თავად-აზნაურთა დადგენილება, რომ უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთი მოახმარდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას. შემდეგ წაიკითხეს რამდენისამე კერძო პირის თხოვნა, რომ შერიცხულ ყოფილიყვნენ ამომრჩეველთა სიაში. ამ თხოვნებმა დიდი კამათი გამოიწვია; ბოლოს ბევრმა განაცხადა სურვილი, რომ კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო; მაგრამ საქმე უკუღმა მოტრიალდა და არამც თუ ეს ახალი მთხოვნელები არ ჩარიცხეს სიაში, არამედ ისინიც კი გამორიცხეს, ვინც წინა სხდომაზე 75 ხმის უმეტესობით 35 წინაამდეგ კრების მიერ მიღებულ იქმნა, რადგან მათ კანონიერი საბუთები არ ჰქონიათ წარმოდგენილი და ისე კი სიაში ჩარიცხვა კრებას არ შესძლებია. ამ გარემოებამ ძლიერააშფოთა თავადნი წულუკიძეები და, როგორც გავიგე, კრების თავმჯდომარის მოქმედებას განსაჩივრებასაც უპირებენ. დაუსრულებელ კამათის შემდეგ თავმჯდომარე ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე იძულებული იყო სხდომა 8 მაისისათვის გადაედო.

როგორც სიიდან სჩანს, თავად-აზნაურთა წლევანდელს კრებას, გარდა არჩევნებისა, განსახილველი აქვს 14 საქმე, რომელთაგან უფრო ყურადღების ღირსია შემდეგი: ა) მოხსენება თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარე კასის დაარსების შესახებ; ბ) შუამდგომლობა საეროზო დაწესებულებათა შემოღების შესახებ; გ) შუამდგომლობა ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგზე ტარიფის დაკლების შესახებ; დ) შუამდგომლობა, რომ ყოველს მაზრაში დაარსდეს თითო დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი II ხარისხისა; ლეჩხუმის მაზრაში კი, რადგან ეს მაზრა მდიდარია სხვა-და-სხვა გვარის მადნეულობით, დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო დაბალი სასწავლებელი სამთო განყოფილებით, ე) შუამდგომლობა, რომ ყოველ მაზრაში დაარსდეს თითო სამკურნალო; ვ) შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამეგრელოსა და ლეჩხუმის მაზრების სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სავალდებულო იყოს ქართულ ენის სწავლება და ღვთის მსახურებაც სრულდებოდეს ქართულს ენაზე; ზ) შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებთან დაარსდეს მესამე უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ბავშებს უნდა აძლევდნენ მხოლოდ ქართულის ენის ცოდნით, და რომ ამ განყოფილებაში საგნებს ქართულად ასწავლიდნენ, და ამავე დროს სახელმწიფო ენასაც, რასაკვირველია, დიდს ყურადღებას აქცევდნენ; ჱ) შუამდგომლობა, რომ ახლად გაყვანილ ჯარის-კაცთ სტოვებდნენ კავკასიის სამხედრო ოლქში; თ) მოხსენება იმის შესახებ, თუ რას მოხმარდეს სწავლა-განათლების გასავრცელებლად, უმაღლესად ნაბოძები ყოველწლიური 20,000 მან.

დონ-ჯუდიანი

თეატრი

რუსული დრამატიული დასი. ხუთშაბათს, 8 მაისს, მოსკოველმა სტუმრებმა ძალიან საინტერესო წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს პირველი მოქმედება შექსპირის ტრაგედიის „მეფე რიჩარდ მესამისა“, ერთი ვოდევილი და კომედია „მისს გობს“. რიჩარდის როლს ასრულებდა ბ-ნი იუჟინი. ვგონებთ, სავსე თეატრში არც ერთი არ აღმოჩნდებოდა ისეთი, რომელიც აღტაცებაში არ მოსულიყო ბ-ნ იუჟინის თამაშობით. ნიჭიერმა არტისტმა მართლაც სამაგალითოდ ჩაატარა ამ ერთ მოქმედებაში ტრაგედიის გმირის როლი. იუჟინის წყალობით საზოგადოების ყურადღება ამ საღამოს ყველაზე მეტად სწორედ ამ ერთმა მოქმედებამ მიიქცია.

მეორედ ვოდევილი შეასრულეს, ხოლო მესამედ—ოთხ-მოქმედებიანი კომედია „მისს გობს“. ამ კომედიამ ევროპის თითქმის ყველა სცენა მოიარა. ავტორი, როგორც ეტყობა, დიდი წინააღმდეგია ეგრედ წოდებულ ქალთა მოძრაობისა და თავის კომედიაში დასცინის იმ ქალებს, რომელნიც დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას დაეძებენ. ყოველივე ეს კარიკატურულად აქვს ავტორს დახატული. გმირად, ქალთა თავისუფლების მოტრფიალედ ისეთი ქალი გამოჰყავს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არშიყობის მეტი არა გაუკეთებია-რა. რა თქმა უნდა, ამ ქალს ბევრი არაფერი მოეთხოვება. ავტორი იმასვე იმეორებს, რაც არა ერთხელ და ორჯელ გაუმეორებიათ ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგეთ: ქალი მხოლოდ კერას უნდა უვლიდეს და შვილებს ზრდიდესო. ავტორი კომედიისა, ჯერომ-ჯერომი, დიდად ნიჭიერი მწერალია, ამიტომ შინაარსის სიყალბის მიუხედავად, კომედია კოხტად არის დაწერილი, ოხუნჯობით სავსეა და მაყურებელი სიამოვნებით ისმენს.

მოსკოველმა არტისტებმა თითქმის უნაკლულოდ შეასრულეს ეს პიესა. ქ-ნი ლეშკოვსკაია, იუჟინი და ილინსკი ისე თამაშობდნენ, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია. აი, სად შეუძლიანთ ჩვენ არტისტებს სასცენო ხელოვნების შესწავლა. მოსკოველ არტისტთა სხვა ღირსებასთან ერთად ჩვენი ყურადღება მიაქცია იმანაც, რომ არც ერთი არტისტი არა სცდილობდა მცირედ მაინც გადამეტებას, გადაჭარბებას და ამით ხალხის გაცინებას, თუმცა კომედიაში ბევრი ისეთი ადგილია, რომ არტისტი ადვილად გადასცდება ზომიერებას. ურიგო არ იქმნება ეს გარემოება მხედველობაში იქონიონ ჩვენმა არტისტებმა, რომელთაც არ შეუძლიანთ ამ მხრივ არც ერთ კომედიის ზომიერად წარმოდგენა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი.

უფა. განსვენებულ ბოგდანოვიჩის გვამი ექიმებმა გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ ბოროტ-მოქმედთ უსროლიათ ზურგში უკვე უსულო გვამისათვის. გულში ორი ტყვია მოხვედრია, ფილტვებში და თირკმელში ოთხი, კუჭში და ხელში ორი. უკანასკნელ ტყვიის გარდა სხვები სულ სასიკვდილოა. გამოძიება სწარმოებს. მკვლელნი ჯერ ვერ უპოვნიათ. კერძო დაწესებულების გარდა, ყოველ დღე, დილით და საღამოთი განსვენებულის კუბოზე პანაშვიდს იხდის ეპისკოპოსი კლიმენტი. უზომოდ სწუხს ყველა, ვინც კი იცნობდა განსვენებულს. გვამს პეტერბურგში გადაიტანენ. კუბო ყვავილებით არის დაფარული. გვირგვინთა შორის არის: გვირგვინი უფის თავად-აზნაურობისაგან ზედწარწერით: „ქველ გმირს მოვალეობისას“ და სახალხო სკოლებისაგან ზედწარწერით: „ნამდვილ მეგობარს სახალხო სკოლისას“.

სოფია. ოფიციალურმა ჟურნალმა კაბინეტის დეკლარაცია გამოაცხადა. დანევის კაბინეტის სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, მთავარი ცდილობდა ისეთ მმართველობის შედგენას, რომელშიაც უნდა ყოფილიყვნენ ყველა მმართველობის პარტიათა წევრნი. ეს კეთილი განზრახვა ვერ დააფასეს პარტიებმა, და მთავრის მიზანი ვერ განხორციელდა. ამიტომ მთავარი ისეთ გადაწყვეტილებაზე შეჩერდა, რომელმაც უფლება მიანიჭა კაბინეტს, რადგანაც ამ კაბინეტს არ ჰქონდა საშუალება უარი ეთქვა სამსახურზე, როდესაც ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია. კაბინეტის წევრებს ძლიერი სურვილი აქვთ, რომ თავისი თავი ქვეყნის სამსახურს შესწირონ. რადგანაც მთავარი იმათ ენდობა, ისინი იმედოვნებენ, რომ მათ ცდას ხალხი დააფასებს და მხარს დაუჭერს მათ. მმართველობა თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს, რომ გარეშე პოლიტიკაში ის დაიცავს ქვეყნის ინტერესს და მასთან სხვა სახელმწიფოებთან საქმეს რიგიანად დაიჭერს, რუსეთთან-კი, როგორც განმათავისუფლებელ სახელმწიფოსთან, ეცდება გულ-წრფელი ურთიერთობა ჰქონდეს. შინაგან საქმეთა კითხვებში მმართველობა დაიცავს კონსტიტუციისადმი პატივისცემას. მმართველობის თავი და თავი მიზანი იქნება გამოიყვანოს სახელმწიფო ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან ისე, რომ ამით ნაციონალური ინტერესები არ შეილახოს.

9 მაისი

პეტერბურგი. 26 ზუგის ავსტრიის ერცჰერცოგის ფრანც ფერდინანდის პოლკს, ასი წლის შესრულებისა გამო ხელმწიფე იმპერატორმა ტახტის ერთგულებისა და სამშობლოს სამსახურისათვის უბოძა ახალი გიორგიევის დროშა საიუბილეო ლენტით და ზედ-წარწერით: „1803—1903“, ამასთანავე ძველი ზედ-წარწერაც ზედ დარჩება: „ეძობა ბრწყინვალე გამარჯვებისათვის წარსულ ომში ფრანგებთან ქ. ქ. ვიაზმასა, კრაონსა, ლაონსა და არსისთან“.

8 მაისს, კრონშტადტში საზღვაო ტაძრის საძირკველი ჩაჰყარეს; ამას დაესწრო მეფის სახლობა. 9 ს. 40 წ. მოვიდა „კრიტით“ უავგუსტოესი გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე. 10 ს. 15 წ. დილით ნავთ-სადგურს მოადგა საიმპერატორო იახტა „ალექსანდრია“. უავგუსტოესი დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მე 19 სინოპის პოლკში ჩადგა. მალე ნავთ-სადგურზე გამოვიდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალნი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფე-მემკვიდრე. ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო მოხსენება, ჩაუარა საპატიო დარაჯთ და მიესალმა მათ. მათ უდიდებულესობათ მიიღეს ქალაქის დეპუტაცია. მათ უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ ფეხით გაიარეს პეტრე დიდის ძეგლთან და დაათვალიერეს. მერე კრონშტადტის ტაძრისაკენ გაიარეს, სადაც უმაღლეს სტუმრებს დაჰხვდა პროტოიერეი მამა იოანე კრონშტადტელი. ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო დეპუტაცია „გოსტინნი დვორის“ მოვაჭრეებისაგან. აქედან მათი უდიდებულესობანი მივიდნენ სახელოსნო თავ შესაფარში ცესარევიჩ ნიკოლოზის სახელობისა, საიდანაც უმაღლესი სტუმრები წავიდნენ სამუშაო სახლში. ამის შემდეგ მათი უდიდებულესობანი წავიდნენ იმ ალაგს, სადაც ტაძრის საძირკველს ჰყრიდნენ. იქ მისვლის შემდეგ მათ უდიდებულესობათ ანალოისაკენ გაიარეს და დაიწყო წირვა. წირვის შემდეგ პროტოპრესვიტერმა მამა ჟელობოვსკიმ დაასხა ზეთი საძირკვლის ალაგს. ფიცარზე დაწერილ წარწერის წაკითხვის შემდეგ, აკურთხა ის და გადასცა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც ჩასდვა ის მომზადებულ ალაგს ოქროს ფულის ჩადების შემდეგ. ამის შემდეგ აგურები ჩაჰყარეს ხელმწიფე-იმპერატორმა, ხელმწიფე დედოფალთ მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრემ და დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ. მერე ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო დეპუტაცია მუშებისაგან. ერთმა მუშამ სალამი უძღვნა და მიართვა პურმარილი. მათ უდიდებულესობათ გაიარეს მოწაფეების გვერდით, რომელნიც ჰიმნის სიმღერით მიესალმნენ და მივიდნენ იმ ალაგს, სადაც ხელმწიფე-იმპერატორმა მუხა დარგო. მათი უდიდებულესობანი მივიდნენ იმ ალაგს, სადაც პარადი უნდა ყოფილიყო. ჯარებმა მათ უდიდებულესობათა წინ გაიარეს. უმაღლესი სტუმრები წავიდნენ მდიდრად მორთულ საზღვაო საკრებულოში, სადაც საუზმე გაიმართა. მათმა უდიდებულესობამ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონებო, მე ბედნიერი ვარ, რომ კრონშტადტის პირველად ნახვის დროს მათ უდიდებულესობით ხელმწიფე დედოფლებითურთ, მომიხდა საზღვაო საკრებულოში ყოფნა. მე ვსვამ იმის აღყვავებისათვის. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონებო, ურა“. უავგუსტოესმა გენერალ-ადმირალმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონებო, მათი უდიდებულესობის ხელმწიფე-იმპერატორის და მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე დედოფლების სადღეგრძელოს ვსვამ, ურა“. აღტაცებული ურა გაისმა დარბაზში.—საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი პეტრეს ნავთ-სადგურზე წავიდნენ, სადაც „ალექსანდრიაში“ ჩასხდნენ და პეტერგოფს გაემგზავრნენ. იქიდან მათი უდიდებულესობანი ცარსკოე სელოში წავიდნენ. უავგუსტოესი გენერალ-ადმირალი პეტერბურგს დაბრუნდა.

ლონდონი ინგლისის ბანკმა ოფიციალური დისკონტი $3^1/_2$ პროცენტამდე დასწია.

სოფია. პეტერბურგის იუბილეის გამო სოფიიდანა და ფილიპოპოლიდან იწვევენ საბჭოს წარმომადგენელთ.—მალე ტელეგრაფით შეაერთებენ ბუხარესტ-სოფია-ფილიპოპოლს.

ბელოსტოკი. „ბელოსტოკ. ვესტნიკ“-ის რედაქტორ გამომცემელს ვასილიევს ნება დაერთო კვირაში ექვსჯერ გამოსცეს გაზეთის სრული ნომერი, ნაცვლად სამის ნომრისა კვირაში.

ოდესსა. დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული 8 მაისს მოვიდა რკინის გზით და საიმპერატორო „შტანდარტით“ პირეის მიდის.

კრემენჩუგი. ნება დართულია გამოსცენ „სპრავ. ლისტოკ“-ი პოლტავის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრემენჩუგის განყოფილებისა. პირველი ნომერი 15 მაისს გამოვა.

სტავროპოლი. პეტროვის სოფლის საზოგადოებამ დაადგინა გახსნას დაბალი სახელოსნო სკოლა. ამისთვის გადასდეს 7,000 მ.

პიატიგორსკი. გაზეთებში გამოცხადებულ ამბის გამო ვაცხადებ, რომ არავითარი ტიფი და არც სხვა რაიმე გადამდები სენი პიატიგორსკსა, ესსენტუკსა, კისლოვოდსკსა და ჟელეზნოვოდსკს არ არის და არც ყოფილა. დირექტორი ხვოშჩინსკი.

პეტერბურგი. სიმბირის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს პოლივანოვს უმაღლესად ებრძანა ვილენის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად ყოფნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)